12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე არაუგვიანეს **2016 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.**

15. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო ერთი ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის	შპს „ჰორეკა“
კომპლექსური სპორტული ცენტრი	თბილისი, აბო თბილელის ქ.N10
თბილისი, გლდანის VმI/რ, N8 კორპ. მიმდ.	(ჩაჩავას ქ.N8)
ს/ნ 400085572	ს/ნ 204557452
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თიბისი ბანკი“
კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი - TBCBGE22
ანგ. N 7 4178 7499	ა/ა N GE31TB1835536020100003
დირექტორი	დირექტორი
ირაკლი ფურცელაძე	არჩილ ხომასურიძე
----------	----------

მიღება-ჩაბარების აქტი №160

თბილისი 08 სექტემბერი, 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი:

ერთის მხრივ - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი (შემდგომში - "შემსყიდველი"), დირექტორის ირაკლი ფურცელაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი"

შპს „ჰორეკა"

(დაწესებულების დასახელება)

არჩილ ხომასურიძე

(ხელმძღვანელის დასახელება)

მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 07 სექტემბერს გაფორმებული №160 ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) თანახმად და პირობების დაცვით, „მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო "შემსყიდველმა" მიიღო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საქონელი, ანგარიშსწორების საერთო ღირებულებით **102,00 (ასორი) ლარი.**

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი ლარი	ჯამური ფასი ლარი	CPV-კოდი
1	3-1 პირსახოცის რულონი პრემიუმი, 2-ფენიანი. 100მ	6.00	17.00	102.00	33763000 - ქაღალდის პირსახოცები
				სულ, თანხა	*102.00*

აღნიშნული აქტი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა "შემსყიდველს", ხოლო მეორე ეგზემპლარი - "მიმწოდებელს".

" შემსყიდველი"

ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის დირექტორი *ირაკლი ფურცელაძე*

"მიმწოდებელი"

შპს „ჰორეკა"-ს დირექტორი *არჩილ ხომასურიძე*